საჯარო სამართლის იურიდიული პირი
წიაღის ეროვნული სააგენტო

KA020162422377821

მისამართი: თბილისი , დავით აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: **+995 591 40 40 51**: ფაქსი: **+995 32 243 95 02**

 # 22/735 **16 / თებერვალი / 2021 წ.**

სსიპ სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტოს
გაყიდვების მხარდაჭერის
სამსახურის უფროსს
ბატონ ირაკლი ჩიდრაშვილს

ბატონო ირაკლი,

თქვენი 2021 წლის 2 თებერვლის № 6/4301 წერილის (სააგენტოში რეგისტრირებულია № 595, 03.02.2021 წ.) პასუხად, რომელიც ეხება ვანის მუნიციპალიტეტის სოფ. დიხაშხოში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1859 კვ.მ; 6020 კვ.მ და 58857 კვ.მ მიწის ნაკვეთების (ს/კ N31.07.22.373; N31.07.22.374; N31.07.22.212) და მასზე არსებული შენობა-ნაგებობების განკარგვის საკითხს, გაცნობებთ შემდეგს: თანდართული დოკუმენტებითა და სააგენტოში არსებული ინფორმაციით ნაკვეთებზე ს/კ N31.07.22.374 და N31.07.22.212 სასარგებლო წიაღისეულის საბადო და წიაღითსარგებლობის ლიცენზიები არ ფიქსირდება. შესაბამისად, აღნიშნული ნაკვეთი წიაღზე დამაგრებას არ ექვემდებარება.

რაც შეეხება ნაკვეთს ს/კ N31.07.22.373, მასზე განთავსებულია თერმული წყლის ჭაბურღილი, რომელსაც ავტომატურად ეკუთვნის სანიტარიული დაცვის პირველი (მკაცრი რეჟიმის) ზონა (არანაკლები 15 მ). შესაბამისად აღნიშნული ნაკვეთი ნაწილობრივ ექვემდებარება წიაღზე დამაგრებას.

აქვე დამატებით გაცნობებთ, რომ წყალტუბოს მინერალური-თერმული წყლის საბადოზე 1990 წლიდან დაფიქსირდა ჰიდროგეოლოგიური რეჟიმის დარღვევა, კერძოდ დაიწყო დებიტის მკვეთრი შემცირება. საბადოს ნორმალური ექსპლუატაციის აღსადგენად დაინტერესებული ორგანიზაციების, მეცნიერებისა და წარმოების მუშაკების მიერ შექმნილი კომისიის 1996 წლის 23 აპრილის №1 ოქმის თანახმად, მიღებული იქნა გადაწყვეტილება წყალტუბოს მინერალური-თერმული წყლის საბადოს დაზიანებული ჭაბურღილების გაწმენდა-აღდგენის შესახებ, ასევე საბადოს ირგვლივ 50 კილომეტრიან რადიუსში არსებული თერმული წყლის ჭაბურღილებზე კვლევითი სამუშაოების სასწრაფოდ ჩატარების შესახებ, მათი საბადოზე შესაძლო უარყოფითი ზეგავლენის გამორკვევის მიზნით.

საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 11 ნოემბრის № 641 ბრძანებულების მე-17 პარაგრაფის თანახმად, საჭირო გახდა კურორტი წყალტუბოს ირგვლივ 50 კმ-იან რადიუსში მდებარე იმ ჭაბურღილების გაუქმების საკითხის განხილვა, რომლებიც ჩატარებული დაკვირვებების შედეგების თანახმად, უარყოფით გავლენას ახდენდნენ კურორტის მინერალური-თერმული წყლის დებიტზე.

2001 წლამდე საბადოზე ჩატარებული კვლევების შედეგად გაირკვა, რომ 1993 წლიდან წყალტუბოს მინერალური-თერმული წყლის ჯამური დებიტი შემცირდა და 2001 წლისათვის დამტკიცებული საექსპლუატაციო მარაგების მხოლოდ 9% შეადგინა. 2001 წლის 28-29 მაისს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წიაღის დაცვისა და სამთო საქმის დეპარტამენტთან შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის მიერ გაკეთდა დასკვნა: „წყალტუბოს საბადოს 50 კმ-იან რადიუსში განლაგებული ჭაბურღილებიდან თერმული წყლის გამოშვებამ განაპირობა წყალტუბოს მინერალური-თერმული წყლის საბადოს რეჟიმის დარღვევა“. აქედან გამომდინარე აღნიშნულ ჭაბურღილებზე წიაღითსარგებლობის ლიცენზია დღემდე არ გაცემულა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სოფ. ამაღლებისა და მიმდებარე ტერიტორიებზე განთავსებული თერმული წყლის ჭაბურღილებზე, ლიცენზიის გაცემამდე, საჭიროა კვალიფიციური სპეციალისტების მიერ დამატებითი დეტალური ჰიდროგეოლოგიური კვლევების ჩატარება, რათა დაზუსტდეს წყალტუბოს საბადოსა და მის ირგვლივ 50 კილომეტრიან რადიუსში განთავსებულ თერმული წყლის ღრმა ჭაბურღილებს შორის ჰიდრავლიკური კავშირის არსებობა-არარსებობის საკითხი და თავიდან იქნას აცილებული შეუქცევადი პროცესის განვითარების საშიშროება წყალტუბოს მინერალური-თერმული წყლის დაკარგვის თვალსაზრისით.

აღნიშნული დეტალური კვლევების ჩატარების შედეგად ალტერნატიული დასკვნის მიღების შემთხვევაში სააგენტო იმსჯელებს ზემოაღნიშნულ ჭაბურღილებზე წიაღითსარგებლობის ლიცენზიის გაცემის შესაძლებლობაზე.

პატივისცემით,

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნანა ზამთარაძე